სტუდენტთა აგრარული კონფერენცია 2024

„კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობა და აგრარული მეცნიერებები“

სტუდენტთა აგრარული სამეცნიერო კონფერენცია ტარდება ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარული ექსტენციის ცენტრის ბაზაზე, აშშ-ის სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის მხარდაჭერითა და „მომავლის ფერმერის“ ორგანიზებით.

14-15 მაისი, 2024 წელი

კონფერენციის წინაპირობა და ამოცანები

სტუდენტთა აგრარული სამეცნიერო კონფერენციის ჩატარების საფუძველი გახლავთ ახალგაზრდობის პოზიტიური განვითარების კონცეფცია, რომელიც ხორციელდება ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ექსტენციის ცენტრის ბაზაზე, აჭარაში. აღნიშნული პროექტი დაფინანსებულია USDA-ის მიერ და ახორციელებს „მომავლის ფერმერი“. პროექტი მიზნად ისახავს ახალგაზრდებში სოფლის მეურნეობის დარგებისადმი ინტერესის გაღვივებას და, ამავდროულად, ყველა იმ შესაძლებლობის უზრუნველყოფას, რომლებიც ხელს შეუწყობს მათ აქტიურად მონაწილეობას სოფლის მეურნეობის სექტორში.

პროექტის მთავარი მიზანია დარგის გაძლიერება მოტივირებული, ძლიერი ახალგაზრდა სამუშაო ძალით, ამასთან, ინკლუზიურობის ხელშეწყობა ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების ჩართულობით.

ბსუ-ში დაწყებული ინიციატივა მიზნად ისახავს ახალგაზრდებს შორის თანამშრომლობის წახალისებას სხვადასხვა პლატფორმების საშუალებით, რომლის საბოლოო გრძელვადიანი მიზანია კონცეფციის საქართველოს სხვა უნივერსიტეტებში გადატანა და გავრცელება. კონფერენციის სტრატეგიულ სამიზნე აუდიტორიას წარმოადგენს დასავლეთ საქართველოს უნივერსიტეტებისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების აგრარული დისციპლინები.

სტუდენტთა აგრარული სამეცნიერო კონფერენცია მიზნად ისახავს ახალგაზრდების ინტერესის გაზრდას სოფლის მეურნეობის დარგის მიმართ. კონფერენციის ერთ-ერთი მთავარი დანიშნულება სფეროს გაახალგაზრდავებაა, ხანდაზმული მუშახელის ახალგაზრდა, ენერგიითა და ენთუზიაზმით სავსე მუშახელით ჩანაცვლება, იმ ახალგაზრდებით, რომლებიც აქტიურად იქნებიან ჩართულნი აგრარულ სექტორში. კონფერენცია ახალგაზრდებს და აგრარული სექტორის წარმომადგენლებს აძლევს შესაძლებლობას, დაუკავშირდნენ ერთმანეთს, შედეგად ახალგაზრდებში გაიზრდება ინტერესი სოფლის მეურნეობის მიმართ და დარგი მეტ მნიშვნელობას შეიძენს მათთვის. ღონისძიების მთავარი ამოცანაა, სოფლის მეურნეობას შეუნარჩუნოს აქტუალურობა და მნიშვნელობა უნივერსიტეტების სტუდენტებს შორის.

აღსანიშნავია, რომ სოფლის მეურნეობის მნიშვნელობის წარმოსაჩენად კონფერენციაზე მოწვეულნი არიან სამთავრობო და სამოქალაქო ორგანიზაციების მაღალი რანგის წარმომადგენლები. ეს ქმნის შესაძლებლობას სტუდენტებისთვის, ჰქონდეთ ინტერაქცია მნიშვნელოვან ფიგურებთან და, ამასთანავე, ხაზს უსვამს სოფლის მეურნეობის გადამწყვეტ როლს ეროვნულ განვითარებაში.

პროექტის მიზანია, შევქმნათ პრეცედენტი სხვა რეგიონებისათვის, რათა განვითარდეს და დაორგანიზდეს მსგავსი ღონისძიებები და ინიციატივები და მთელი ქვეყნის მასშტაბით. კონფერენცია ხელს უწყობს არა მარტო ცოდნის გაზიარებას, არამედ აგრარული სექტორის განვითარებას, გაახალგაზრდავებას, და წარმოაჩენს აჭარის ბსუ-ს უნივერსიტეტს, როგორც ნოვატორ რგოლს სასოფლო-სამეურნეო განათლებისა და კერძო და სახელმწიფო უწყებებს შორის თანამშრომლობის გაუმჯობესების კუთხით.

<u>კონფერენციის სამეცნიერო მიმართულებები:</u>

1. **კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობა და მომავლის ფერმები.**

2. **მცენარეთა ინტეგრირებული დაცვა კლიმატით შეცვლილ ლანდშაფტში.**

3. **კლიმატთან ადაპტირებული მეცხოველეობა / მეფუტკრეობა / აკვაკულტურა.**

სტუდენტთა აგრარული სამეცნიერო კონფერენცია აერთიანებს შემდეგ უნივერსიტეტებსა და სასწავლო დაწესებულებებს:

- ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
- ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
- შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
- წმინდა ტბელ აბუსერიძის სასწავლო უნივერსიტეტი, აჭარა
- სსიპ პროფესიული კოლეჯი “ბლექსი“, ბათუმი
- სსიპ კოლეჯი “ახალი ტალღა", ქობულეთი
- სსიპ პროფესიული კოლეჯი “იბერია“, ქუთაისი
- სსიპ პროფესიული კოლეჯი ,”ჰორიზონტი“, ოზურგეთი
- სსიპ პროფესიული კოლეჯი “ფაზისი“, ფოთი.

კონფერენცია ითვალისწინებს:

- პლენარულ და სექციურ მუშაობას
- საკონფერენციო პროგრამისა და პუბლიკაციების კრებულის გამოცემას ბეჭდური სახით
- საკონფერენციო პროგრამისა და პუბლიკაციების კრებულის ატვირთვას ონლაინ, QR კოდის საშუალებით ჩამოსატვირთად
- კონფერენციის ფარგლებში გათვალისწინებულია სტუდენტების ტრანსპორტირების, კვებისა და ღამისთევის (საჭიროების შემთხვევაში) ხარჯები
- კონფერენციის სამუშაო ენა: ქართული
- კონფერენციის რეგლამენტი: მოხსენება 5-10 წუთი
- გათვალისწინებულია საპრიზო ფონდი
- ყველა მომხსენებელს გადაეცემა მონაწილეობის სერთიფიკატი / სიგელი

დამატებითი შენიშვნები:

- სექციური მუშაობა დაიგეგმება შემოსული თემების მიხედვით. თითოეულ სექციას ეყოლება კოორდინატორი.

- კონფერენციაში მონაწილეობას მიიღებს 100-მდე დელეგატი დასავლეთ საქართველოს 4 რეგიონიდან: აჭარა, იმერეთი, სამეგრელო, გურია.

- კონფერენცია ჩატარდება ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში, 2 დღის განმავლობაში.

- გამოიცემა პუბლიკაციების ონლაინ კრებული ორი მიმართულებით: სამეცნიერო აკადემიური ნაშრომებისა და პროფესიული პუბლიკაციებისათვის.

კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად, გთხოვთ, განაცხადი გამოაგზავნოთ 2024 წლის 1 აპრილამდე ელექტრონული ფოსტის შემდეგ მისამართზე: info@fof.edu.ge

განაცხადში/ წერილში მითითებული უნდა იყოს: სტუდენტის სახელი, გვარი, სასწავლო დაწესებულება, საგანმანათლებლო პროგრამა, სტუდენტური სტატუსი/ საფეხური, საკონფერენციო თემის მიმართულება.

საორგანიზაციო კომიტეტის მიერ 5 აპრილამდე მიიღებთ შეტყობინებას/ დასტურს კონფერენციაში მონაწილეობის შესახებ.

დასრულებული საკონფერენციო მოხსენება, მოთხოვნების შესაბამისად, უნდა გამოაგზავნოთ ზემოთ მითითებულ ელ. ფოსტაზე, 2024 წლის 20 აპრილამდე.

მომხსენებლებს მიეწოდებათ კონფერენციის პროგრამა, სადაც აღნიშნული იქნება თითოეული სექციის მუშაობის დრო და ადგილი. თითოეულ სექციას ეყოლება თავისი კოორდინატორი;

ნაშრომები სარეცენზიოდ გადაეცემა შესაბამისი მიმართულების ჟიურის, რომელმაც ნაშრომის მიწოდებიდან ორი კვირის ვადაში უნდა წარმოადგინოს რეცენზია და შეფასების ქულები, შესაბამისი კომენტარებით;

ნაშრომის მითითებულ ვადაზე დაგვიანებით წარდგენის შემთხვევაში, სტუდენტი აგრარულ სამეცნიერო კონფერენციაზე არ დაიშვება;

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად ან შეკითხვების არსებობის შემთხვევაში, გთხოვთ, დაუკავშირდეთ შესაბამის საკომუნიკაციო პირს:
ნატო კლდიაშვილი - პროექტის კოორდინატორი: 577 17 70 34
გიორგი მახარაძე - აგრარული ექსტენციის ცენტრი, ბსუ/ბათუმი: 595 61 61 87

მონაწილეებისათვის ტექნიკური მოთხოვნები, შეფასების კრიტერიუმები, ნომინაციები და პრემიები

<u>სადოქტორო და სამაგისტრო პროგრამების სტუდენტებისთვის:</u>

სტუდენტთა სამეცნიერო ნაშრომი:

- სტუდენტის სამეცნიერო ნაშრომი წარმოადგენს სტუდენტის მიერ ინდივიდუალურად შესრულებულ სამუშაოს. მასში უნდა აისახოს სწავლის პერიოდში შეძენილი პრაქტიკული და თეორიული ცოდნა. სტუდენტმა სამეცნიერო ნაშრომში უნდა შეძლოს დარგისთვის დამახასიათებელი მეთოდის გამოყენება, შესაბამისი მონაცემების შეგროვება და განმარტება, ახალი და განყენებული მონაცემებისა და/ან სიტუაციების ანალიზი სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული/ახალი მეთოდის გამოყენებით დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება.
- სამეცნიერო ნაშრომის წარდგენა ხდება სამეცნიერო კონფერენციაზე საჯაროდ, ჟიურის წინაშე (ზეპირი პრეზენტაცია);
- ჟიური შედგება არანაკლებ 5 წევრისაგან.
- სტუდენტის საბოლოო შეფასება იანგარიშება ჟიურის ყველა წევრის შეფასების საშუალო არითმეტიკულით.

სტუდენტის ნაშრომის შეფასება:

სტუდენტის სამეცნიერო ნაშრომის შეფასება მოხდება 100 ქულიანი სისტემით; სამეცნიერო ნაშრომი ფასდება რეცენზენტის მიერ 60 ქულით; ხოლო სამეცნიერო ნაშრომის საჯარო დაცვა (პრეზენტაცია) - 40 ქულა.

1. სამეცნიერო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები: 60 ქულა

- თემის სიახლე და აქტუალობა - 10 ქულა;
- პრობლემის გამოკვეთის, კვლევისა და ანალიზის უნარი, მსჯელობის თანმიმდევრულობა -10 ქულა;
- საკვლევი საკითხის გარშემო არსებული ფაქტობრივი მასალების შესწავლისა და წარმოჩენის უნარი -10 ქულა;
- არგუმენტირების და დასკვნის უნარი– 10 ქულა;
- მოძიებული შესაბამისი ლიტერატურული წყაროები, მათი სისტემატიზაცია -10 ქულა;
- ნაშრომის ტექნიკური, სტილისტური და გრამატიკული გამართულობა - 10 ქულა.

2. ნაშრომის სამეცნიერო კონფერენციაზე საჯარო დაცვა - 40 ქულა

- საუბრობს გამართულად და თავდაჯერებულად - 10 ქულა;
- ანალიზის, არგუმენტირების და დასკვნის უნარი - 10ქულა;
- კითხვებზე, შენიშვნებზე და რეკომენდაციებზე გაცემული პასუხი - 10 ქულა;
- აუდიტორიასთან კომუნიკაციის, დროის ლიმიტის დაცვის უნარი - 5 ქულა;
- ტექნიკური და ვიზუალური მხარე, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენების უნარი- 5 ქულა.

საბოლოო შეფასება:

- უმაღლესი შეფასება - I ადგილი: (91-100 ქულა);
- მაღალი შეფასება - II ადგილი: (81-90 ქულა);
- კარგი შეფასება - III ადგილი: (71-80 ქულა);
- შესრულებული სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე შესაძლებელია მხედველობაში იქნეს მიღებული შეფასების ზოგიერთი სპეციფიკური კრიტერიუმი.

სტუდენტი, რომელსაც აქვს 91-100 შეფასება:

- ნაშრომი იბეჭდება სტუდენტთა სამეცნიერო ნაშრომთა კრებულში/ჟურნალში;
- ჯილდოს სახით გადაეცემა სასაჩუქრე ვაუჩერი.
- გადაეცემა სპეციალური სიგელი.

სტუდენტი, რომელსაც აქვს 81-90 შეფასება:

- ნაშრომი იბეჭდება სტუდენტთა სამეცნიერო ნაშრომთა კრებულში/ჟურნალში;
- ჯილდოს სახით გადაეცემა სასაჩუქრე ვაუჩერი.
- გადაეცემა სპეციალური სიგელი.

სტუდენტი, რომელსაც აქვს 71-80 შეფასება:

- ჯილდოს სახით გადაეცემა სასაჩუქრე ვაუჩერი.
- გადაეცემა სპეციალური სიგელი.

სამეცნიერო ნაშრომის სტრუქტურა შედგება შემდეგი ნაწილებისაგან:

- თავფურცელი (სატიტულო ფურცელი)
- ანოტაცია
- ტექსტი
- გამოყენებული ლიტერატურის სია.

თავფურცელი (სატიტულო ფურცელი) ივსება ქვემოთ მოყვანილი წესის მიხედვით:

- უმაღლესი სასწავლო დაწესებულების სრული დასახელება, სადაც შესრულდა ნაშრომი, ფაკულტეტი, პროგრამის დასახელება. (შრიფტის ზომა: 14);
- 2-3 სმ-ის დაშორებით იწერება სტუდენტის გვარი და სახელი (სახელობით ბრუნვაში, შრიფტის ზომა: 16);
- შუა ნაწილში იწერება ნაშრომის დასახელება (შრიფტის ზომა: 16) (მას არ მიეწერება სიტყვა "თემა" და ბრჭყალებში ჩასმა საჭირო არ არის);
- თავფურცლის მარჯვენა ქვედა მხარეს იწერება ნაშრომის ხელმძღვანელის სახელი, გვარი, აკადემიური ხარისხი, აკადემიური თანამდებობა (შრიფტის ზომა: 12) ;
- სულ ქვემოთ, ფურცლის შუა ნაწილში, იწერება ნაშრომის შესრულების ადგილი და დრო, ქალაქი და წელი (სიტყვა "წელი"-ს გარეშე) (შრიფტის ზომა: 12);
- ანოტაცია: აისახება თემის აქტუალობა, მიზნები, ამოცანები, კვლევის საგანი, ობიექტი, ძირითადი შედეგები, სიახლე; მოცულობა 50-100 სიტყვა.
- შესავალი: ნაშრომის ამ ნაწილში აისახება თემის აქტუალობა, მიზნები, დასმული ამოცანების შინაარსი, საკვლევი საგანი, კვლევისათვის გამოყენებული მეთოდ/ებ/ი, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და საინფორმაციო რესურსები (ასეთის საჭიროების შემთხვევაში). შესავლის მოცულობა სასურველია, არ აღემატებოდეს 1-2 გვერდს.
- ტექსტის ძირითადი ნაწილი: ძირითადი ტექსტი შესაძლებელია დაიყოს თავებად და პარაგრაფებად. თავები ინომრება თანმიმდევრულად და დასახელებისგან გამოიყოფა წერტილებით. პარაგრაფს დაესმის თავისა და პარაგრაფის ნომრები. თავის დასახელება იწერება 16-იანი ზომის შრიფტით. ტექსტში უნდა ჩანდეს მასალის ფლობა, არგუმენტაცია, ლოგიკური ანალიზის უნარი, მონაცემები. დასკვნა: ასახავს ნაშრომის კვლევის თეორიულ და პრაქტიკულ შედეგებს, მოკლედ აისახება ნაშრომის მნიშვნელობა, ღირებულება და ასევე გამოყენების სფერო.

ტექსტის დაკაბადონების წესი:

- ტექსტი აკრეფილი უნდა იყოს A4 ზომის სტანდარტულ ფურცელზე;
- შრიფტის სახე - Sylfaen;
- ტექსტის შრიფტის ზომა - 12;
- თავების/პარაგრაფების შრიფტის ზომა - 16/14;
- სქოლიოს შრიფტის ზომა -10;
- სტრიქონებს შორის მანძილი -1,5 ინტერვალი;
- ფურცლის გვერდზე ტექსტის მინდორი: მარცხნიდან -3 სმ, მარჯვნიდან -1.5 სმ, ზემოდან -2.5 სმ, ქვემოდან 2.5ს;

- ნაშრომის მოცულობა, დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე შესაძლებელია მერყეობდეს - არაუმეტეს 20 გვ. არანაკლებ 5 გვერდისა (თავფურცლის გარეშე).

გამოყენებული ლიტერატურა:

- ლიტერატურის ნუსხა წარმოდგენილი უნდა იყოს ანბანური თანმიმდევრობით (ჯერ ქართულ, შემდეგ უცხოურ ენებზე);
- წიგნის ან მონოგრაფიის მითითებისას საჭიროა დასახელდეს ავტორის გვარი და ინიციალები, ნაშრომის სახელწოდება, გამოცემის ადგილი, გამომცემლობა, წელი, გვერდების საერთო რაოდენობა;
- სამეცნიერო ნაშრომის მითითებისას უნდა დასახელდეს ავტორის გვარი, ინიციალები, ნაშრომის სახელწოდება, სამეცნიერო ჟურნალის სახელწოდება, წელი, ტომი, ნომერი, საწყისი და ბოლო გვერდები;
- ტექსტში გამოყენებული საილუსტრაციო მასალა – სურათები, ცხრილები, დიაგრამები, სქემები უნდა დაინომროს ნაშრომის თავის მითითებით, მაგ.: მაგ.: 1.1, 1.2 და ა.შ ;
- ტექსტში გამოყენებული ფორმულებიდან უნდა გადაინომროს მხოლოდ ისინი, რომელთა მითითებაც ხდება შემდგომში. ფორმულების აღმნიშვნელი ნუმერაცია, გამოსახული არაბული რიცხვებით მაგ (4.5);
- სამეცნიერო ნაშრომის ტექსტში გამოყენებული კონკრეტული ავტორისეული მოსაზრების დაფიქსირებისას მრგვალ ფრჩხილებში უნდა ჩაიწეროს მისი ინიციალი, გვარი და ნაშრომის გამოქვეყნების წელი; მაგ.: (დ. უზნაძე 1998);
- ტექსტში გამოყენებული ციტატების ბოლოს კვადრატულ ფრჩხილებში უნდა მიეთითოს ავტორის ინიციალი, გვარი, წელი და გვერდი. მაგ: [დ. უზნაძე 1998: 16]; ტექსტში ჩართული, ციტატა უნდა ჩაისვას ბრჭყალებში და დაიბეჭდოს დახრილი შრიფტით (იტალიკით);
- შენიშვნები და დამატებითი ინფორმაცია სქოლიოების სახით, საჭიროების შემთხვევაში, დაერთვის თითოეულ გვერდს ბოლოს უწყვეტი ნუმერაციით. შენიშვნების/სქოლიოების შრიფტის ზომა: 10.
- ინსტრუქციის ამ ნაწილში დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე შესაძლებელია იყოს განსხვავებული მოთხოვნა.
- პლაგიატი: ნაშრომში სხვათა მოსაზრებების, ფრაზებისა და წინადადებების გამოყენება არასათანადო წესებით (ლიტერატურული წყაროს მითითების გარეშე) ჩაითლება პლაგიატიზმად. პლაგიატზმის აღმოჩენის ნებისმიერ შემთხვევაში, სამეცნიერო ნაშრომი სამეცნიერო კონფერენციაზე არ დაიშვება.

საბაკალავრო პროგრამების სტუდენტებისთვის:

სტუდენტთა ნაშრომი:

- სტუდენტის ნაშრომი წარმოადგენს სტუდენტის მიერ ინდივიდუალურად შესრულებულ სამუშაოს. მასში უნდა აისახოს სწავლის პერიოდში შეძენილი პრაქტიკული და თეორიული ცოდნა. სტუდენტმა უნდა შეძლოს დარგისთვის დამახასიათებელი მეთოდის გამოყენება, შესაბამისი მონაცემების შეგროვება და განმარტება, სიტუაციების, დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება.
- ნაშრომის წარდგენა ხდება აგრარულ სამეცნიერო კონფერენციაზე საჯაროდ, ჟიურის წინაშე (ზეპირი პრეზენტაცია);
- ჟიური შედგება არანაკლებ 5 წევრისაგან.
- სტუდენტის საბოლოო შეფასება იანგარიშება ჟიურის ყველა წევრის შეფასების საშუალო არითმეტიკულით.

სტუდენტის ნაშრომის შეფასება:

სტუდენტის ნაშრომის შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით. ნაშრომი ფასდება 60 ქულით; ხოლო ნაშრომის საჯარო დაცვა (პრეზენტაცია) - 40 ქულა.

1. შეფასების კრიტერიუმები: 60 ქულა - აფასებს დარგობრივი ჯგუფი

- თემის სიახლე და აქტუალობა - 10 ქულა;
- პრობლემის გამოკვეთის, კვლევისა და ანალიზის უნარი, მსჯელობის თანმიმდევრულობა - 10 ქულა;
- საკვლევი საკითხის გარშემო არსებული ფაქტობრივი მასალების შესწავლისა და წარმოჩენის უნარი -10 ქულა;
- არგუმენტირების და დასკვნის უნარი - 10 ქულა;
- მოძიებული შესაბამისი ლიტერატურული წყაროები, მათი სისტემატიზაცია - 10 ქულა;
- ნაშრომის ტექნიკური, სტილისტური და გრამატიკული გამართულობა - 10 ქულა.

2. ნაშრომის საჯარო დაცვა (პრეზენტაცია) - 40 ქულა - აფასებს ძირითადი ჟიური

- საუბრობს გამართულად და თავდაჯერებულად - 10 ქულა;
- ანალიზის, არგუმენტირების და დასკვნის უნარი - 10ქულა;
- კითხვებზე, შენიშვნებზე და რეკომენდაციებზე გაცემული პასუხი - 10 ქულა;
- აუდიტორიასთან კომუნიკაციის, დროის ლიმიტის დაცვის უნარი - 5 ქულა;
- ტექნიკური და ვიზუალური მხარე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენების უნარი - 5 ქულა.

საბოლოო შეფასება:

- I ადგილი: (91-100 ქულა);
- II ადგილი: (81-90 ქულა);
- III ადგილი: (71-80 ქულა);
- შესრულებული სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე შესაძლებელია მხედველობაში იქნეს მიღებული შეფასების ზოგიერთი სპეციფიკური კრიტერიუმი.

სტუდენტი, რომელსაც აქვს 91-100 შეფასება:

- ნაშრომი იბეჭდება ნაშრომთა კრებულში;
- ჯილდოს სახით გადაეცემა სასაჩუქრე ვაუჩერი.
- გადაეცემა სპეციალური სიგელი.

სტუდენტი, რომელსაც აქვს 81-90 შეფასება:

- ნაშრომი იბეჭდება ნაშრომთა კრებულში;
- ჯილდოს სახით გადაეცემა სასაჩუქრე ვაუჩერი.
- გადაეცემა სპეციალური სიგელი.

სტუდენტი, რომელსაც აქვს 71-80 შეფასება:

- ჯილდოს სახით გადაეცემა სასაჩუქრე ვაუჩერი.
- გადაეცემა სპეციალური სიგელი.

ნაშრომის სტრუქტურა შედგება შემდეგი ნაწილებისაგან:

- თავფურცელი (სატიტულო ფურცელი)
- ანოტაცია
- ტექსტი
- გამოყენებული ლიტერატურის სია.

თავფურცელი (სატიტულო ფურცელი) ივსება ქვემოთ მოყვანილი წესის მიხედვით:

- დაწესებულების სრული დასახელება, სადაც შესრულდა ნაშრომი,პროგრამის დასახელება. (შრიფტის ზომა: 14);
- 2-3 სმ-ის დაშორებით იწერება სტუდენტის გვარი და სახელი (სახელობით ბრუნვაში, შრიფტის ზომა: 16);
- შუა ნაწილში იწერება ნაშრომის დასახელება (შრიფტის ზომა: 16) (მას არ მიეწერება სიტყვა ”თემა” და ბრჭყალებში ჩასმა საჭირო არ არის);
- თავფურცლის მარჯვენა ქვედა მხარეს იწერება ნაშრომის ხელმძღვანელის სახელი, გვარი, აკადემიური თანამდებობა (შრიფტის ზომა: 12) ;
- სულ ქვემოთ, ფურცლის შუა ნაწილში, იწერება ნაშრომის შესრულების ადგილი და დრო, ქალაქი და წელი (სიტყვა ”წელი”-ს გარეშე) (შრიფტის ზომა: 12);

- ანოტაცია: აისახება თემის აქტუალობა, მიზნები, ამოცანები, კვლევის საგანი, ობიექტი, ძირითადი შედეგები, სიახლე; მოცულობა 40-70 სიტყვა.
- შესავალი: ნაშრომის ამ ნაწილში აისახება თემის აქტუალობა, მიზნები, დასმული ამოცანების შინაარსი, საკვლევი საგანი, კვლევისათვის გამოყენებული მეთოდ/ებ/ი, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და საინფორმაციო რესურსები (ასეთის საჭიროების შემთხვევაში). შესავლის მოცულობა სასურველია, არ აღემატებოდეს 1 გვერდს.
- ტექსტის ძირითადი ნაწილი: ძირითადი ტექსტი შესაძლებელია დაიყოს თავებად და პარაგრაფებად. თავები ინომრება თანმიმდევრულად და დასახელებისგან გამოიყოფა წერტილებით. პარაგრაფს დაესმის თავისა და პარაგრაფის ნომრები. თავის დასახელება იწერება 16-იანი ზომის შრიფტით. ტექსტში უნდა ჩანდეს მასალის ფლობა, არგუმენტაცია, ლოგიკური ანალიზის უნარი, მონაცემები. დასკვნა: ასახავს ნაშრომის კვლევის თეორიულ და პრაქტიკულ შედეგებს, მოკლედ აისახება ნაშრომის მნიშვნელობა, ღირებულება და ასევე გამოყენების სფერო.

ტექსტის დაკაბადონების წესი:

- ტექსტი აკრეფილი უნდა იყოს A4 ზომის სტანდარტულ ფურცელზე;
- შრიფტის სახე - Sylfaen;
- ტექსტის შრიფტის ზომა - 12;
- თავების/პარაგრაფების შრიფტის ზომა - 16/14;
- სქოლიოს შრიფტის ზომა -10; სტრიქონებს შორის მანძილი -1,5 ინტერვალი;
- ფურცლის გვერდზე ტექსტის მინდორი: მარცხნიდან -3 სმ, მარჯვნიდან -1.5 სმ, ზემოდან -2.5 სმ, ქვემოდან 2.5ს;
- ნაშრომის მოცულობა, დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე შესაძლებელია მერყეობდეს - არაუმეტეს 12 გვ. არანაკლებ 3 გვერდისა (თავფურცლის გარეშე).

გამოყენებული ლიტერატურა:

- ლიტერატურის ნუსხა წარმოდგენილი უნდა იყოს ანბანური თანმიმდევრობით (ჯერ ქართულ, შემდეგ უცხოურ ენებზე);
- წიგნის ან მონოგრაფიის მითითებისას საჭიროა დასახელდეს ავტორის გვარი და ინიციალები, ნაშრომის სახელწოდება, გამოცემის ადგილი, გამომცემლობა, წელი, გვერდების საერთო რაოდენობა;
- ნაშრომის მითითებისას უნდა დასახელდეს ავტორის გვარი, ინიციალები, ნაშრომის სახელწოდება, ჟურნალის სახელწოდება, წელი, ტომი, ნომერი, საწყისი და ბოლო გვერდები;

- ტექსტში გამოყენებული საილუსტრაციო მასალა – სურათები, ცხრილები, დიაგრამები, სქემები უნდა დაინომროს ნაშრომის თავის მითითებით, მაგ.: მაგ.: 1.1, 1.2 და ა.შ ;
- ტექსტში გამოყენებული ფორმულებიდან უნდა გადაინომროს მხოლოდ ისინი, რომელთა მითითებაც ხდება შემდგომში. ფორმულების აღმნიშვნელი ნუმერაცია, გამოსახული არაბული რიცხვებით მაგ (4.5);
- ნაშრომის ტექსტში გამოყენებული კონკრეტული ავტორისეული მოსაზრების დაფიქსირებისას მრგვალ ფრჩხილებში უნდა ჩაიწეროს მისი ინიციალი, გვარი და ნაშრომის გამოქვეყნების წელი; მაგ.: (დ. უზნაძე 1998);
- ტექსტში გამოყენებული ციტატების ბოლოს კვადრატულ ფრჩხილებში უნდა მიეთითოს ავტორის ინიციალი, გვარი, წელი და გვერდი. მაგ: [დ. უზნაძე 1998: 16]; ტექსტში ჩართული, ციტატა უნდა ჩაისვას ბრჭყალებში და დაიბეჭდოს დახრილი შრიფტით (იტალიკით);
- შენიშვნები და დამატებითი ინფორმაცია სქოლიოების სახით, საჭიროების შემთხვევაში, დაერთვის თითოეულ გვერდს ბოლოს უწყვეტი ნუმერაციით. შენიშვნების/სქოლიოების შრიფტის ზომა: 10.
- ინსტრუქციის ამ ნაწილში დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე შესაძლებელია იყოს განსხვავებული მოთხოვნა.
- ნაშრომში სხვათა მოსაზრებების, ფრაზებისა და წინადადებების გამოყენება არასათანადო წესებით (ლიტერატურული წყაროს მითითების გარეშე) ჩაითვლება პლაგიატიზმად და სტუდენტი არ დაიშვება კონფერენციაზე.

<u>პროფესიული პროგრამების სტუდენტებისთვის:</u>

სტუდენტთა ნაშრომი:

- სტუდენტის ნაშრომი წარმოადგენს სტუდენტის მიერ ინდივიდუალურად შესრულებულ სამუშაოს. მასში უნდა აისახოს სწავლის პერიოდში შეძენილი პრაქტიკული და თეორიული ცოდნა. სტუდენტმა უნდა შეძლოს დარგისთვის დამახასიათებელი მეთოდის გამოყენება, შესაბამისი მონაცემების შეგროვება და განმარტება, სიტუაციების ანალიზი, დასკვნის ჩამოყალიბება.
- ნაშრომის წარდგენა ხდება აგრარულ სამეცნიერო კონფერენციაზე საჯაროდ, ჟიურის წინაშე (ზეპირი პრეზენტაცია);
- ჟიური შედგება არანაკლებ 5 წევრისაგან.
- სტუდენტის საბოლოო შეფასება იანგარიშება ჟიურის ყველა წევრის შეფასების საშუალო არითმეტიკულით.

სტუდენტის ნაშრომის შეფასება:

სტუდენტის ნაშრომის შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით. ნაშრომი ფასდება რეცენზენტის მიერ 60 ქულით; ხოლო ნაშრომის საჯარო დაცვა (პრეზენტაცია) - 40 ქულა.

1. შეფასების კრიტერიუმები: 60 ქულა - აფასებს დარგობრივი ჯგუფი

- თემის სიახლე და აქტუალობა - 10 ქულა;
- პრობლემის გამოკვეთის, კვლევისა და ანალიზის უნარი, მსჯელობის თანმიმდევრულობა - 10 ქულა;
- საკვლევი საკითხის გარშემო არსებული ფაქტობრივი მასალების შესწავლისა და წარმოჩენის უნარი -10 ქულა;
- არგუმენტირების და დასკვნის უნარი - 10 ქულა;
- მოძიებული შესაბამისი ლიტერატურული წყაროები, მათი სისტემატიზაცია - 10 ქულა;
- ნაშრომის ტექნიკური, სტილისტური და გრამატიკული გამართულობა - 10 ქულა.

2. ნაშრომის საჯარო დაცვა (პრეზენტაცია) - 40 ქულა - აფასებს ძირითადი ჟიური

- საუბრობს გამართულად და თავდაჯერებულად - 10 ქულა;
- ანალიზის, არგუმენტირების და დასკვნის უნარი - 10ქულა;
- კითხვებზე, შენიშვნებზე და რეკომენდაციებზე გაცემული პასუხი- 10 ქულა;
- აუდიტორიასთან კომუნიკაციის, დროის ლიმიტის დაცვის უნარი - 5 ქულა;
- ტექნიკური და ვიზუალური მხარე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენების უნარი - 5 ქულა.

საბოლოო შეფასება:

- I ადგილი: (91-100 ქულა);
- II ადგილი: (81-90 ქულა);
- III ადგილი: (71-80 ქულა);
- შესრულებული სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე შესაძლებელია მხედველობაში იქნეს მიღებული შეფასების ზოგიერთი სპეციფიკური კრიტერიუმი.

სტუდენტი, რომელსაც აქვს 91-100 შეფასება:

- ნაშრომი იბეჭდება ნაშრომთა კრებულში;
- ჯილდოს სახით გადაეცემა სასაჩუქრე ვაუჩერი.
- გადაეცემა სპეციალური სიგელი.

სტუდენტი, რომელსაც აქვს 81-90 შეფასება:

- ნაშრომი იბეჭდება ნაშრომთა კრებულში;
- ჯილდოს სახით გადაეცემა სასაჩუქრე ვაუჩერი.
- გადაეცემა სპეციალური სიგელი.

სტუდენტი, რომელსაც აქვს 71-80 შეფასება:

- ჯილდოს სახით გადაეცემა სასაჩუქრე ვაუჩერი.
- გადაეცემა სპეციალური სიგელი.

ნაშრომის სტრუქტურა შედგება შემდეგი ნაწილებისაგან:

- თავფურცელი (სატიტულო ფურცელი)
- ანოტაცია
- ტექსტი
- გამოყენებული ლიტერატურის სია.

თავფურცელი (სატიტულო ფურცელი) ივსება ქვემოთ მოყვანილი წესის მიხედვით:

- ტექსტი აკრეფილი უნდა იყოს A4 ზომის სტანდარტულ ფურცელზე;
- შრიფტის სახე - Sylfaen;
- ტექსტის შრიფტის ზომა - 12;
- თავების/პარაგრაფების შრიფტის ზომა - 16/14;
- სქოლიოს შრიფტის ზომა -10; სტრიქონებს შორის მანძილი -1,5 ინტერვალი;
- არაუმეტეს 10 გვ. არანაკლებ 3 გვერდისა (თავფურცლის გარეშე).

გამოყენებული ლიტერატურა:

- ლიტერატურის ნუსხა წარმოდგენილი უნდა იყოს ანბანური თანმიმდევრობით (ჯერ ქართულ, შემდეგ უცხოურ ენებზე);
- წიგნის, მონოგრაფიის, სამეცნიერო ნაშრომის მითითებისას საჭიროა დასახელდეს ავტორის გვარი და ინიციალები, ნაშრომის სახელწოდება, გამოცემის ადგილი, გამომცემლობა, წელი, გვერდების საერთო რაოდენობა;
  ნაშრომში სხვათა მოსაზრებების, ფრაზებისა და წინადადებების გამოყენება არასათანადო წესებით (ლიტერატურული წყაროს მითითების გარეშე) ჩაითვლება პლაგიატიზმად და სტუდენტი არ დაიშვება კონფერენციაზე.